



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 10

2020 წელი 31 ივლისი

ქ. ბაღდათი

10.00 საათი

2020 წლის 31 ივლისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყემელაშვილი, მამუკა გორგოძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, კობა მშვილდაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, შადიმან გორგოძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, თემურ მინაძე, ზაზა ზივზივაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, ალექსი ლომინაშვილი, გიორგი რობაქიძე, თეონა ფახურიძე, მურად ბურჯანაძე, გაბრიელ ლიბრაძე, შალვა დათუაძე.

საკრებულოს წევრები: სულ 24 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ვლადიმერ წიქორიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი
ნატო მაჩიტაძე - ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“-ს დირექტორი
საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 წევრმა, დაესწრო 23 საკრებულოს წევრი. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მომხს. კახა გოგნაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
2. ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაცია: „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ“.

მომხს. ნატო მაჩიტაძე- ა.ა.პ.ი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი

3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში წერეთლის ქ. №10-ში მდებარე, სოფ. დიმის ყოფილი საკრებულოს შენობის პირველ სართულზე მდებარე ფართებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №42 89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი
4.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ I ობჩაში 30.08.33.001 საკადასტრო
კოდზე მდებარე №01/1- 84.0 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე თანხმობის
მიცემის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

5.ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმის, გარე
რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემის საწყისი წლიური ფასისა და
აუქციონის პირობების დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი
6.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო
ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს 1. მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

კახა გოგნაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. მან
ინფორმაცია წარმოადგინა პანდემიის პირობებში მერიის სამსახურების მიერ გაწეულ
საქმიანობაზე. მანვე უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს
კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს იურდიული და
საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42/32 31.07. 2020 წ. (განკარგულება თან
ერთვის)

მ ო ს მ ი ნ ე ს : 2. .ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის
ინფორმაცია: „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და
აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ“.

ნატო მაჩიტაძე-ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“-ს დირექტორი.
ნ. მაჩიტაძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსამსახურის მიერ გაწეულ
საქმიანობაზე და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების
მიმდინარეობაზე.

ნ. მაჩიტაძემ უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს კულტურის, განათლების,
სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარემ, ირინა ტყეშელაშვილმა

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42/33 31.07. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში წერეთლის ქ. №10-ში მდებარე, სოფ. დიმის ყოფილი საკრებულოს შენობის პირველ სართულზე მდებარე ფართებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №42 89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42/34 31.07. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-23 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ I ობჩაში 30.08.33.001 საკადასტრო კოდზე მდებარე №01/1- 84.0 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე თანხმობის მიცემის შესახებ

განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42/35 31.07. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-21 წინააღმდეგი-2 (შალვა დათუაძე, მაკა მესხი)

კენჭისყრაში მონაწილეობდა 23 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმის, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის, აუქციონის ფორმით გაცემის საწყისი წლიური ფასისა და აუქციონის პირობების დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო **სიმონ ჭოლოკავამ**, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42/36 31.07. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-21 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 21 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა **მირიან ფულარიანმა** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა.

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო **სიმონ ჭოლოკავამ**, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42/37 31.07. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-21 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 21 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე